ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის ოქმი N1

21 მარტი 2023 წ. ქ. ამბროლაური

2023 წლის 21 მარტს გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ასლან საგანელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები- ზაალ მეტრეველი, დავით გოგსაძე, პაატა მაჭანკალაძე, თენგიზ გელოვნიშვილი, მერაბ ჩიტალაძე, სიმონ ჭელიძე, ელიზბარ კობახიძე, ნინო ჯოხაძე, ნათია მარგველიძე, ესმა მაისაშვილი, ანა ნემსწვერიძე, მაია კაციტაძე, ელევნორა ბედენაშვილი, მაკა გოცირიძე, ხათუნა ბეშიძე, მარიკა დვალი, მიხეილ დალაქიშვილი, ბეჟან კობახიძე, გიორგი გოძიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში მარინე ჯაფარიძე, მაკა გოგობერიშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მოწვეული სტუმრები-ორგანიზაციის ,,უფლებები საქართველო“-ს წარმომადგენელი ანა ჯელაძე და შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი- ავთანდილ ქექნაძე .

სხდომაზე ამბროლაურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და ნაადრევი ქორწინების სტატისტიკა (2022 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 01 მარტამდე). 1) ოჯახური კონფლიქტის 16 ფაქტი, აქედან 3 სისხლის სამართლის საქმე (სსკის 126 [1] მუხლი) 16 შემაკავებელი ორდერი, 2 ადმინისტრაციულად დაჯარიმებული პირი (სექსუალური შევიწროვების ფაქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 166 [1] მუხლით), ნაადრევი ქორწინება - 0 ფაქტი.

საბჭოზე განხილული იქნა:

1) სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში - ,,მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“, რომლის მიზანი იყო შეეფასებინა მუნიციპალური პოლიტიკა გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით,

გაანალიზებულიყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და გამოევლინა ის გამოწვევები, რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვანი იქნება გენდერული უთანასწორობისა და გენდერულად არამგრძნობიარე მიდგომების გადასაჭრელად.

2) საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში "ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ". თემატური მოკვლევის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოში ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული ხარვეზები, გამოწვევები და ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებისა და გოგოების წვდომას დასახელებულ რესურსებზე.

საბჭომ გადაწყვიტა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაზე პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი.

სხდომის თავმჯდომარე - ასლან საგანელიძე

თავმჯდომარის თანაშემწე - მარინე ჯაფარიძე